

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი №13

ქ. ახმეტა

1 მაისი, 2017 წელი

თავმჯდომარეობდა: თამარ ყვინიშვილი -ახმეტის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომა სესწრებოდნენ: გ. ქიტესაშვილი, თ. ზოდაველი, ა. შათირიშვილი,  
ახმეტის მუნიციპალიტეტის გ.ჯუგაშვილი, რ. ბაღაკაშვილი, თ. ბორჩაშვილი,  
საკრებულოს წევრები: ბ. ჭიჭიკლიშვილი, ც. გრძელივანიშვილი,  
მ. ალხანაშვილი, ი. უჯირაული, ა. ნახუცრიშვილი,  
ზ. გარსევანიძე, ს. იჭირაული, ა. ძეგველიშვილი,  
გ. უძილაური, ნ. ღუბიანური, ლ. გოგოთიძე,  
თ. წითელაური, ა.მაილაშვილი,

სხდომა გაიხსნა 10<sup>00</sup>საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და დამსწრე პირებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „სოფ მატანში მდებარე, ყოფილი პროფ. ტექ. სასწავლებლის (ობიექტი პირობითი №15) 4227,0 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი - 50.11.36.050) პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით სსიპ „ეროვნული საშენი მეურნეობისათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - ლუბუმი შეთეკაური/

დღის წესრიგთან დაკავშირებით ზურაბ გარსევანიძემ თქვა, რომ დავა მურთაზაშვილის გარდაცვალების გამო, კანონის შესაბამისად ხდება მისთვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა. რაც ავტომატურად იწვევს (სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა) კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტას და ფრაქცია „ქართული ოცნება - მთიანი რეგიონებისათვის“ დაშლას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის ცვლილებას, რასაც საკრებულოს ყველა წევრი დაეთნხმა.

#### დღის წესრიგი

1. საკრებულოს წევრის დავით მურთაზაშვილის უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ;
2. ფრაქცია „ქართული ოცნება - მთიანი რეგიონებისათვის“ დაშლის ცნობად მიღების შესახებ;
3. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „სოფ მატანში მდებარე, ყოფილი პროფ. ტექ. სასწავლებლის (ობიექტი პირობითი №15) 4227,0 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი - 50.11.36.050) პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით სსიპ „ეროვნული საშენი მეურნეობისათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - ლუბუმი შეთეკაური/

მოხსენეს: საკრებულოს წევრის დავით მურთაზაშვილის უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ;

მომხსენებელმა დამსწრე წევრებს განუმარტა, რომ დავით მურთაზაშვილის გარდაცვალების გამო, მას უწყდება როგორც საკრებულოს წევრობის უფლებამოსილება, აგრეთვე სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილება.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ცნობად მიიღო საკითხი: საკრებულოს წევრის დავით მურთაზაშვილის უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ;

მოხსენეს: ფრაქცია „ქართული ოცნება - მთიანი რეგიონებისათვის“ დაშლის ცნობად მიღების შესახებ;

ზურაბ გარსევანიძემ საკრებულოს წევრებს უთხრა, რომ დავით მურთაზაშვილის გარდაცვალების გამო ფრაქციაში რჩება სამ წევრზე ნაკლები და ფრაქცია ავტომატურად იშლება.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ცნობად მიიღო საკითხი: „ქართული ოცნება - მთიანი რეგიონებისათვის“ დაშლის ცნობად მიღების შესახებ;

მოხსენეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - არსენ ბულრიძე/

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო საკითხი:

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტით გათვალისწინებულია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა 100,0 ათ. ლარით ( „ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულება)

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება, რასაც საკრებულოს ყველა წევრი დაეთნხმა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № 10 - „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოსმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „სოფ მატანში მდებარე, ყოფილი პროფ. ტეფ. სასწავლებლის (ობიექტი პირობითი №15) 4227,0 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი - 50.11.36.050) პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით სსიპ „ეროვნული სამენი მეურნეობისათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - ლუბუმი შეთეკაური/

მომხსენებელმა დამსწრე პირებს გააცნო საკითხი:

მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „სოფ მატანში მდებარე, ყოფილი პროფ. ტეფ. სასწავლებლის (ობიექტი პირობითი №15) 4227,0 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი - 50.11.36.050) ორი წლის ვადით სსიპ ეროვნული სამენი მეურნეობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა.

მომხსენებელმა საკრებულოს დამსწრე წევრებს უთხრა რომ დაინტერესებული პირი ( ეგნატე აბაშიძე) ესწრება სხდომას და თუ რაიმე შეკითხვა აქვთ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება დაუსვან.

განმცხადებელმა უთხრა საკრებულოს წევრებს, რომ ეს არის 250 000 ლარიანი ინვესტიცია. არის შეშის ჩანაცვლების პროგრამა. ამით სუფთავდება ტყე ნარჩენებისგან და დასაქმებულები არიან ადგილობრივი მოსახლეობა. აგრეთვე ჭარბად გვაქვს ცხელი წყალი, შევთავაზეთ ახლომდებარე საბავშვო ბაღს და მათ ექნებათ უფასო გათბობა.

ციური გრძელივანიშვილი: სად მიდის მზა პროდუქცია და შეუძლია თუ არა მოსახლეობას მისი შექმნა?

შეუძლია მოსახლეობასაც შეიძინოს, მაგრამ ჯერ არ არის ფასები დადგენილი, არ არის თვითღირებულება გამოანგარიშებული.

ლუხუმი შეთევკური: მიიღებთ თუ არა ვაზის ნასხლავს?

ვენატე აბაშიძემ უპასუხა, რომ ჯერ დამუშავების პროცესშია ნედლეული და როგორც შემოგვაკლდება, შემდეგ დავიწყებთ ალტერნატიული გზების ძიებას.

გიორგი უძილაური: მოსახლეობა შეაგროვებს და მოიტანს ამ ნედლეულს თუ თქვენი ბრიგადები გეყობებათ, შეუძლია თუ არა მოსახლეობამ აქედან ნახოს სარგებელი?

სატყეო მუშაობს ამ საკითხზე რა გზით მოხდება ნედლეულის შეგროვება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება, რასაც საკრებულოს ყველა წევრი დაეთნხმა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № 31 -ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „სოფ მატანში მდებარე, ყოფილი პროფ. ტექ. სასწავლებლის (ობიექტი პირობითი №15) 4227,0 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი - 50.11.36.050) პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით სსიპ „ეროვნული საშენი მეურნეობისათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრე საკრებულოს წევრებს ხომ არ სურთ რაიმე წინადადების დაყენება.

სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრებს რაიმე წინადადების დაყენების სურვილი არ გამოუთქვამთ.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 10<sup>40</sup> საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



თამარ ყვინიშვილი.